# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც.— შაბათი, 26 თებერვალი 1900 წ. № 1054.

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.
ტელეფონი № 372.



## „მ ო ა მ ბ ე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

| (წელიწადი მეშვიდე) | (წელიწადი მეხუთე) |
| --- | --- |
| გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში. | გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც. |
| ფასი ჟურნალისა გაგზავნით: | გაზეთის ფასი გაგზავნით: |
| 1 წლით 6 თვით 3 თვით | 1 წლით 6 თვით 3 თვით 1 თვით |
| 10 მანეთი 6 მან. 4 მან. | 6 მანეთი 3 მ. 50 კ. 2 მანეთი 75 კაპ |
| სამზღვარ გარედ წლიურად 13 მან. | სამზღვარ გარედ წლიურად 7 მანეთი. |

წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:

| | |
| --- | --- |
| პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ. | პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ. |

ვინც „მოამბე“-ს ერთის წლით გამოიწერს „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა გამოწერის დღიდან

წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი

| | |
| --- | --- |
| ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, შინაური და უცხოეთის მიმოხილვა. | გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ. |

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ.
თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.
ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.



კვირას, 27 თებერვალს, კუკიის სასაფლაოს ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

## რაჟდენ სოლომონის ძის ჯაჯანაშვილის

სულის მოსახსენებლად; შემდეგ მოხდება კურთხევა ძეგლისა განსვენებულის საფლავზე.—აცხადებენ რა ამას, ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელნი სთხოვენ განსვენებულის ნაცნობთა და ნათესავთ მობრძანდნენ კუკიის სასაფლაოზე, დილის $9^1/_2$ საათზე. ნ. 2—1



ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. როინაშვილის მიერ ნაანდერძევი

## ფოტოგრაფია

გადატანილ იქმნა ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში. (60—16)



ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობა აცხადებს ყველა იმ პირთა საყურადღებოთ, რომლებსაც უფლება აქვთ ოზურგეთის ქალაქის არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ, რომ ქალაქის რწმუნებულთა მეორე ოთხი წლით 1900-1904 ასარჩევი კრება დანიშნულია 20-ს მარტს ამა 1900 წელს. ნ. 3—1


## ახალი ამბავი

✦ ჩვენ გვწერენ, რომ ოზურგეთის თვითმმართველობას შეუდგენია ვრცელი პროექტი დაბა შეკვეთილის ქალაქ ოზურგეთზე დროებით მიწერას შესახებ, რადგანაც განსაკუთრებული თვითმმართველობა ჯერ-ჯერობით შეკვეთილში შემოღებული ვერ იქმნება (დაბაში დღეს უძრავ-მოძრავ ქონების მესაკუთრე 40—50 კაცი იქნება მხოლოდ), ხოლო რადგანაც დაბას დიდი მნიშვნელობა აქვს გურიის აღებ-მიცემობის საქმეში, პროექტის შემდგენელთ ჰსურთ ხელი შეუწყონ დაბის ზრდას და ამისთვის ოზურგეთის თვითმმართველობას უნდა მიეცეს უფლება აღძრას ხოლმე შუამდგომლობანი და იზრუნოს შეკვეთილის კეთილდღეობისათვის ისე, როგორც თვითოზურგეთისთვის,—იზრუნოს იმ წესითა და რიგით, როგორიც ნაჩვენებია საქალაქო დებულებაში. პროექტი წაუკითხეს შეკვეთილის მცხოვრებთ, რომლებმაც სიხარულით მოისმინეს იგი და სთხოვეს ოზურგეთის მოურავს თავ. ნიკ. თავდგირიძეს ეცადოს პროექტის განხორციელებისათვის.

✦ „კავკაზი“ იტყობინება, რომ მთავარ-მართებლის განკარგულებით, განჯის გუბერნიის, შუშის მაზრის მცხოვრები ყულუმ-ქერბალაი-კიაზუმ-ოღლი, ზანგეზურის მაზრის მცხოვრები მაჰმად-საფარ-ალი-ოღლი და მათთან კიდევ 4 კაცი სამხედრო სამართალში იქმნენ მიცემულნი განჯის გუბერნიის სხვა-და-სხვა ადგილებში ავაზაკობის ჩადენის და კაცის-მოკვლისა გამო. სამხედრო სასამართლომ ქ. შუშაში განიხილა ეს საქმე 28 იანვარს და ხსენებულთ ყულუმა-ქერბალაი-კიაზუმ ოღლის და მაჰმად-საფარ-ალი-ოღლის სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. ეს განაჩენი მთავარ-მართებლის თანაშემწეს გენ.-ლეიტ. ა. ა. ფრეზეს დაუმტკიცებია 11 თებერვალს.

✦ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას მოსვლია მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოებისაგან ცნობა, რომ ხსენებული საზოგადოება სპობს დღეიდან „საარქეოლოგიო ცნობათა და შენიშვნათა ჟურნალის“ გამოცემას; მის მაგიერ საზოგადოება დროგამოშვებით დასტამბავს კრებულს „სიძველენი“. პირველი წიგნი კრებულისა გამოვა შემოდგომაზე.

✦ დღეს, საღამოს რვისნახევარ საათზე, საბალოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილების დარბაზში (გოლოვინ. პრ. № 42), მოხდება ამ საზოგადოების წევრთა კრება, რომელზედაც სხვათა შორის განხილული იქნება: 1) ბ. კლაუსენის მოხსენება. ხეხილის ძირფესვის შესახებ: 2) ადგილობრივად აბრეშუმის გრენის გამზადების გავრცელების შესახებ. კრებას გარეშე პირსაც შეუძლია დაესწროს.

✦ 23 თებერვალს დანიშნული კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოების წევრთა კრება არ შესდგა, რადგანაც არ გამოცხადდა კანონიერი რიცხვი წევრთა.

✦ ბაქოს ქალაქის საბჭომ დაამთავრა მიმდინარე წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა და დაამტკიცა იგი. სულ შემოსავალი იქნება—1.577.965 მანეთი, ხოლო გასავალი—1.520.317 მანეთი. ამ რიგად „მილლიონერთა ქალაქს“ შემოსავალი მეტი აქვს გასავალზე.

✦ სოხუმის ქალაქის საბჭომ გაათავა განხილვა და დაამტკიცა მდგომარე 1900 წლის შემოსავალ-გასავლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა. მოსალოდნელი შემოსავალია 65,000 მანეთი, ხოლო ხარჯი 73,000 მანეთი, ასე რომ გასავალი შემოსავალს 8,000 მანეთითა სჭარბობს; გამგეობის შენახვაზე ქალაქს 20,000 მანეთი დაეხარჯება.

✦ დღეს, 26 თებერვალს, „ტფილისის სობრანიე“-ს დარბაზში გაიმართება კონცერტი ტფილისის ებრაელთა საქველ-მოქმედო საზოგადოების საშუალებათა გასაძლიერებლად.

✦ ქ. ორდუბათიდან ცნობა მოვიდა, რომ იქ, 23 თებერვალს, ღამის 1 საათზე, საკმაოდ ძლიერი მიწის ძვრა ყოფილა.

✦ ექიმი მოსტოვიჩი სწერს გორიდან „ტფ. ფურცელს“, რომ 22 თებერვალს, დილის მეოთხე საათზე, იქ მიწის ძვრა იყო. რა წამს მიწა იძრა, საშინელი გრგვინვა გაისმა და ელვამაც გაანათოა; შემდეგ თოვლა დაიწყო.

✦ გორიდანვე იტყობინებიან, რომ ამ ჟამად იქ სხვა-და-სხვა გადამდები სენი მძვინვარებს. ძალიან

ბევრი ბავშვია ავად დიფტერიტითა და ყვავილით.

✦ **სოხუმიდგან გვწერენ:** 18 თებერვალს აქაურმა ქართულ სცენის მოყვარეებმა ცოტა არ იყოს გამოაფხიზლეს მიძინებული საზოგადოება სოხუმისა, სადაც, ეს ერთი წელიწადია, ქართულს ენაზე წარმოდგენა არა ყოფილა. ზემოხსენებულს რიცხვს ქ-ნა ალათი შარვაშიძის მეთაურობით წარმოდგენა გამართეს მონაწილეობას იღებდნენ: ქ.ბ-ნნი ბ. ხრამელაშვილისა, ანას. კიწმარეიშვილისა, მაკრინე თურქიასი და ანნა ჩხენკელიასა; ბ-ნნი: მელქ. ხიხიაშვილი, ანდრო ჯაფარიძე, ი. ხახუტაშვილი და თ. სახოკია. ითამაშეს „ბაიყუში“, ავქ. ცაგარლის კომედია, „მონადირე“, ვოდევილი ვ. გუნიასი და „დატრიალდა ჯარა“ ვოდევილი კოტე ყიფიანისა. სამივე პიესამ მხიარულად ჩაიარა საზოგადოდ. მხოლოდ ერთ-ორ მოყვარულს არ შეგვიძლია არ ვუსაყვედუროთ თავიანთის როლების უცოდინარობა. წარმოდგენის დასასრულ ცნობილმა მოლეკურემ ბ-ნმა თეო გაბუნიამ, ქულაჯით გამოწყობილმა, დიდად ასიამოვნა მაყურებელნი თავისის მოხდენილის თამაშობითა.

წარმოდგენას ხალხი კაი ძალი დაესწრო. სამწუხარო ის იყო, რომ სახლი პატარა იყო და იმდენი ხალხი ვერ დაიტია, რამდენიც სასურველი იყო. სულ შემოვიდა 12 თუმნამდე. ხარჯი რვა თუმანს აღემატება. წმინდა შემოსავალი დანიშნულია დედათა მომავალ სკოლის სასარგებლოდ.

✦ ბაქოდან გვწერენ, რომ ქუთაისის მცხოვრების **ჩაჯვაიძის საქმე**, რომელსაც ბრალდება სოკოლოვის მოკვლა, ხელმეორედ დაინიშნა გასარჩევად ბაქოს საოლქო სასამართლოში 15 მარტისთვის. სოფლად მასწავლებელი იყო.

✦ **ჩვენებურ ექიმთა საყურადღებოდ** ვაცხადებთ, რომ წელს, 2 აგვისტოდან 9-მდე (ახალი სტილით), პარიზში მოხდება ექიმთა საერთაშორისო კონგრესი. როგორც გაზეთები იუწყებიან, კონგრესზე ექიმთა აუარებელი რიცხვი მიდის და ძრიელ საინტერესოც იქნებაო. ექიმებს, რომელთაც ჰსურთ კონგრესზე წასვლა, უნდა ეხლავ განუცხადონ ეს ან პარიზის ექიმთა კომიტეტის ხაზინადარს ექიმს Duflocq'ს (Paris, rue de Miloménil, 64). ან რუს ექიმთა კომიტეტის თავმჯდომარეს ექიმს ლიხაჩოვს (Петербургъ, Воскресенская, № 13), ან კომიტეტის წევრებს ტფილისის ექიმთ მ. ვ. ლუნკევიჩს და ნ. ა. სახაროვს.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ ამ მოკლე ხანში მდინარე კილასურზე (სოხუმიდან ოთხი ვერსია) **რკინის ხიდის** კეთებას შეუდგებიან. მუშაობა იჯარით აქვს აღებული ინჟენერს ნიკ. პასსეკს.

## დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

**24 თებერვალი**

**ლონდონი.** გაზეთებს აუწყებენ მოლტენოდან, 24 თებერვალს, რომ ბრიტანელთა ჯარებმა დაიჭირეს გუშინდამ ბურგერსდორფი. მათთვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია.

**კაპშტადტი.** ორი ბატალიონი ცხენოსანი ჯარისა, რომლის გზაკვალი არავინ იცოდა 1-ლ თებერვლიდან, დაბრუნდა ეხლა პაარდერბერგში. მესამე ესკადრონი ამ ჯარისა კი ბურებს წაუყვანიათ ტყვედ და გაუგზავნიათ პრეტორიაში.

**ლონდონი.** გუშინდელს გაზეთებში დაბეჭდილი ცნობები დურბანიდან იმის შესახებ, რომ ინგლისელთა რაზმი ზულუსთა ქვეყნიდან შევიდა ტრანსვაალშიო, მართალი გამოდგა. რაზმი შესდგებოდა ამხედრებულ ქვეითი ჯარისაგან, ნატალის საპოლიციო ჯარის კაცებისაგან რამდენიმე ზარბაზნებით მაქსიმეს სისტემისა. რაზმი მივიდა კატაზის გორაკამდე, რომელიც 9 მილის მანძილზე სძევს საზღვრის იქით.

განიხილავს-რა კითხვას სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკების ინგლისთან შეერთების შესახებ, „ტაიმს“-ი ამბობს: „ჩვენ არ შეგვიძლია შევუერთოთ იმპერიას ის ქვეყნები, რომელთ შესახებ ყოველთვის ვლაპარაკობდით, რომ ისინი ინგლისს ეკუთვნიან და რომ მათი მცხოვრებნი დედოფლის ქვეშევრდომნი არიან, თუმცა ვრცელის პოლიტიკურის უფლებებით სარგებლობენ. არავის ეჭვი არ უნდა ჰქონდეს იმის შესახებ, თუ რას უპირებს ინგლისი ორ რესპუბლიკას. ჩვენმა ქვეყანამ ბევრი მსხვერპლი შესწირა, რათა დაემხო სამხრეთ-აფრიკაში მისი წინააღმდეგი ორგანიზაცია და ამიტომ გარდაწყვეტილია იქ აღარ დასტოვონ ისეთი რამ, რისგანაც შეიძლება მომავალში კვლავ გაუჩნდეს ინგლისს წინააღმდეგი ორგანიზაცია. საბედნიეროდ, ორანჟეს რესპუბლიკის მოქმედებამ თავიდან აგვაშორა ის დაბრკოლებანი, რომელნიც აღმოჩნდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ორანჟეს რესპუბლიკა მონაწილეობას არ მიიღებდა ომში“.

„დეილი ნიუს“-ს ატყობინებენ სტერკსტრომიდან, რომ კორრესპონდენტს, რომელიც ტყვედ იყო წაყვანილი ბლიუმფონტენში, საასი ჰქონია შტეინთან; უკანასკნელს უთქვამს, რომ ბურები ომს არ შესწყვეტენ, ვიდრე უკანასკნელი მათგანი არ იქმნება მოკლულიო. პრეზიდენტმა იწინასწარმეტყველა, რომ პრეტორიის დაპყრობას მოჰყვება ისეთი ამბები, რომლებიც განცვიფრებაში მოიყვანენ მთელს ევროპასაო.

„დეილი ნიუს“-ს ატყობინებენ ლორენცო-მარკეზიდან 22 თებერვალს, რომ 5000 კაფრი მუშაობს პრეტორიის გარშემო სიმაგრეების ასაგებად.

იმავე გაზეთს ატყობინებენ ოსფონტენიდან 24 თებერვალს, რომ გუშინ რობერტსის მიერ უკუ-ქცეული ბურების რიცხვი, ფიქრობენ, 10.000 კაცამდე იყოო.

კორრესპონდენტი იტყობინება 23 თებერვალს, რომ ბურების რაზმი 3000 კაცისაგან შემდგარი თანხმობას აცხადებდა დამორჩილებაზე, მაგრამ ისეთის პირობებით, რომელთ ასრულება შეუძლებელი იყო, რის გამო წინადადებაზე უარი უთხრეს. კრონიემ მეტი დაჰკარგა, ვიდრე ამბობდა. გუშინ აღმოაჩინეს მრავალი დახოცილთა გვამები; მარტო ერთ სასაფლაოში უპოვნიათ 60 გვამი.

„ტაიმს“-ი ამბობს, რომ სამინისტრომ, მიიღო-რა მხედველობაში საქმეთა აწინდელი მდგომარეობა, გარდასწყვიტა არ გასცვალოს ტყვეები და არც აღძრას ამის შესახებ მოლაპარაკება.

მეფკინგიდან იტყობინებიან: ქალთა ბანაკში მძვინვარებს სახადი და ციებ-ცხელება, ჯარებს შორის კი დეზინტერია და კუჭის სხვა ავადმყოფობა უსაჭმელობისა გამო. საავადმყოფოები ავსილია. ბავშვების სასაფლაო ქალთა ბანაკში დღითი-დღე მატულობს. მტერი ყუმბარებს ესვრის ქალაქის უმთავრეს ქუჩას და სავაჭრო მოედანს. ალყის შემორტყმის დღიდან მოკლული და დაჭრილია 292 კაცი. ჯარი თუმცა ცოტაა ქალაქში, მაგრამ ყველას გარდაწყვეტილი აქვს მამაცად ებრძოლონ მტერს.

„ტაიმს“-ს ატყობინებენ ლორენცო-მარკეზიდან, რომ კრიუგერი პრეტორიიდან ბლიუმფონტენისაკენ წავიდა.

**პარიზი.** დღისით დაიწვა ფრანგული თეატრი „Comedie française“. სცენა და შინაგანი მოწყობილება თეატრისა ფერფლად იქცა. ცეცხლს გადაარჩინეს ბევრი ისტორიული ხელოვნური საგნები. დაიწვა მხოლოდ ერთი—არტისტიქალი ანრიო.

**პეტერბურგი.** უმთავრეს შტაბის სადგომში, ბიბლიოთეკის დარბაზში ცეცხლი გაჩნდა. ნახევარზე მეტი წიგნები დაიწვა. ზარალი მეტად დიდია, რადგანაც ბევრი ძვირფასი გამოცემა გაანადგურა ცეცხლმა. ცეცხლის გაჩენის მიზეზი ჯერ არ გაუგიათ.

**ლონდონი.** ბურების ბანაკიდან გლენკოსთან იტყობინებიან 23 თებერვალს: „ხუთშაბათს ბურებმა ორჯერ უკუ-აქციეს ინგლისელთა ჯარები ლედი-სმიტიდან მოსულნი. ბურების ჯარები ისევ უკან იწევენ. 2,000 ფურგონი რკინის გზის შემწეობით იქმნა გაგზავნილი. მატარებლებით წაიღეს მძიმე ზარბაზნები და წაიყვანეს დაჭრილნი. უკანასკნელს მატარებელს, რომელიც გავიდა ელანდსლააგტედან, თან მიჰყვება მუშათა მატარებელი; ის ანგრევს ყველა ხიდებს ლედი-სმიტსა და გლენკეს შუა. წასვლის წინ ბურებმა ააფეთქეს და ცეცხლი წაუკიდეს ქვა-ნახშირის მადნებს ელანდსლააგტეში. რამდენია დაჭრილთა და მოკლულთა რიცხვი ამ ბოლოს ხანებში, ცნობაში არ არის ჯერ მოყვანილი. ამბობენ, მოკლულია 15 ბიურგერი და დაჭრილი 25. ბრტილლერიის ერთი პორუჩიკი თავშია დაჭრილი. კრიუგერი დაბრუნდა პრეტორიაში. მისმა მოწოდებამ ბიურგერებისადმი კვლავ აღაფრთოვანა ისინი საბრძოლველად დამოუკიდებლობისათვის.

**ოსფონტეინი.** უკან დაწევის დროს ბურებმა დასტოვეს ერთი ზარბაზანი, ცხენების საკვები და კარვები. ფრენჩი მისდევს ეხლა კვალ-და-კვალ ბურებს მდინარე დორდრეხტის ჩრდილოეთის ნაპირით. დღეს ბრძოლა არ ყოფილა. უმთავრესი ჯარები წინ მიდიან, რათა დაიპყრან პოზიცია ბურებისაგან მიტოვებულ პოზიციის ჩრდილოეთით.

**ლონდონი.** პარლამენტის რეპორტიორი ატყობინებს „დეილი ნიუს“-ს, რომ გარდაწყვეტილია, კრონიე თავის ჯარით გაგზავნონ წმ. ელენეს კუნძულზე, სადაც დასტოვებენ ომის გათავებამდე.

**ბელგრადი.** გუშინ, სერბიის დამოუკიდებელ სამეფოდ აღიარების დღის დღესასწაულზე, სერბიის მეფემ ალექსანდრემ მიიღო მოლოცვა სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებისა და თავის მინისტრებისაგან. წარმოთქმულ სიტყვაში მეფემ განაცხადა, რომ სერბიას ყველასთან მეგობრული განწყობილება აქვსო.

**ვენა.** „პოლიტიშე კორრესპონდენტ“-ის სიტყვით, ოსმალეთის საელჩო ვენაში აცხადებს, რომ ტყუილია ის ხმები, ვითომც კონსტანტინეპოლში განუწყვეტლივ აპატიმრებენ სხვა-და-სხვა პირთ.

25 თებერვალი

**პარიჟი.** ირწმუნებიან, რომ საფრანგეთის თეატრი სრულიად დაიწვა. უნდა დანგრეულ იქმნას ყოველივე, რაც გადურჩა ცეცხლს. ახლა დამტკიცებულია, რომ ცეცხლი მოჰკიდებია ფარდებს.

**ბირმინგემი.** 21 თებერვალს, დილით, გლენკოში მოხდა სამხედრო თათბირი. ლიუდვიგ ბოტტა დაინიშნა გენერალ-ლეიტენანტად ნატალში, მის თანაშემწეესად დაინიშნენ: ლუკა მეიერი, შალკ, ბურგერი დავით ქუბერი, დავით გრასმური და ფერრიე. ეს გარდაწყვეტილება ძლიერ მოეწონათ ბიურგერებს.

**ლონდონი.** ფელდმარშალი რობერტსი იუწყება დეპეშით პოლლარგროლიდან, რომ ცხენოსანთა არიგადები, ერთი ქვეითი დივიზია და ცხენოსანი არტილერია წაწეულ იქმნა წინ 10 მილის მანძილზე აღმოსავლეთისაკენ. რკინის გზის ხელახლად გახსნის საქმე სტრომბერგისა და შტეინსბურგისაკენ კარგად მიდის. გენერალმა კლემენტმა დაიჭირა 22 თებერვალს ბურებისაგან აფეთქებული ხიდი ნორვალსპონტთან. მტერი დაბანაკებულია მდინარის ჩრდილოეთიეს ნაპირზე; მტრის ჯარი მცირეა. გატეკრი დაბანაკებულია ბურგერსდორპტზე.

**პრეტორია.** ოფიციალურად იტყობინებიან, რომ წარსულ კვირას დორდრეხტთან ცხარე ბრძოლა მოხდა. ინგლისელები უკუქცეულ იქმნენ და დიდათ დაზარალდნენ; ბურებმა მტერს წაართვეს სამი ზარბაზანი. ბურებს მოუკლეს 3 კაცი, დაუჭრეს ხუთი.

**ბლიუმფონტეინი.** აქ მოვიდა კრიუგერი; რკინის გზის სადგურზე მას მიეგება შტეინი. კრიუგერმა წარმოსთქვა შემდეგ სიტყვა, რომელშიაც გამოაცხადა, რომ, თუ გაჭირვების დღეს ერი არ წარიკვეთავს სასოებას, უფალიც დაეხმარება მას და მოუვლენს თავის წყალობას.

**პრეტორია.** ყველა წრეებში სიამოვნებას აცხადებენ იმ თავაზიანობის გამო, რომლითაც ინგლისელები მოექცნენ კრონიეს როგორც იარაღის დაყრის დროს, ისე კაპშტადტში მისვლისას.

კრიუგერმა ინახულა ბლუმფონტენის სამხრეთით დაბანაკებული ჯარები.

მეფკინგის გარშემო მოხდა ბრძოლა. ყველა გარეშე სიმაგრეები, ერთის გარდა, ბურებმა დაიპყრეს.

**პეკინი.** ქვრივმა იმპერატრიცამ ინახულა დღეს გარეშე სახელმწიფოების ელჩთა მეუღლენი. დაესწრნენ იმპერატორი და ტახტის მემკვიდრე.

**პეტერბურგი.** „პრავიტ. ვესტნიკი„ ამბობს: „იმ ხმების შესახებ, რომელიც გაავრცელეს გაზეთებმა, ვითომც წმ. სამების მონასტრის ძმათა გაეგზავნოთ ბურებისთვის დროშა, ვაცხადებთ, რომ ეს ცნობა ნამდვილი არ არის და შეეხება სერგის დაბის მედროშეთა საზოგადოებას; წმ. სამების მონასტრის ძმანი აქ არაფერს შუაში არიან.

**ოდესსა.** ხერსონში ბებიის სახლში იპოვეს კიდევ გუშინ ორი ბავშვის გვამი. სულ ნაპოვნია რვა გვამი. დაპატიმრებული ბებია უარს ამბობს თავის დანაშაულობიზე და ბრალსა სდებს თავის ნათლიას, რომელიც დიდი ხანია მკვდარია. გვამების მდგომარეობა კი მოწმობს, რომ დანაშაულობა ჩადენილია ახლო ხანში. დაეძებენ ბავშვების დედებს.

**ბორდო.** ყმაწვილების გროვამ მოიწადინა გუშინ მოეხდინა მანიფესტაცია ინგლისის საელჩოსთან, მაგრამ გაფანტულ იქმნა.

**პარიჟი.** ცეცხლი საფრანგეთის თეატრს წაეკიდა შუადღისას და მსწრაფლ მოედო მთელს შენობას. შიშობენ, რომ თეატრი ეულ დაიღუპა. ცეცხლი გამოჩნდა 12 საათს და 5 წამზე სცენაზე იმ დროს, როდესაც ქალბატონებს დიუდლე და ანრიოს რეპეტიცია ჰქონდათ დილისათვის დანიშნულ პიესისა. მსახურნი ძლივს გადარჩენ. ზოგიერთი საგნები გადაყარეს ფანჯრებიდან. მეორის ნახევარზე ცეცხლმა თანდათან იკლო და შიგნიდან გარეთ აღარ გავრცელებულა; თეატრის შინაგანი ნაწილი სრულიად განადგურებულია. ნანგრევებში იპოვნეს დამწვარი გვამი ქალისა აბრეშუმის ტანისამოსში. ხელოვნების უმეტესი ნაწილი გადაარჩინეს; გადაარჩინეს აგრეთვე ბიბლიოთეკა, არხივი და მუზეუმი; სცენა და მთელი შინაგანი ნაწილი თეატრისა წარმოადგენს ნანგრევთა გროვას; გარეგანი ნაწილი თეატრისა კი ნაკლებად დაზიანდა. ქალის გვამი საავადმყოფოში წაიღეს, სადაც იგი ამხანაგებმა იცნეს: დამწვარი აღმოჩნდა — ქ-ნ ანრიო.

**პარიჟი.** ქ-ნი ანრიო იპოვნეს მოსართობ ოთახში. ის სულ ახალგაზდა იყო და დიდი ხანი არ არის, სცენაზე გამოვიდა. ქ-ნი დიულე გადაარჩინეს ფანჯრიდან. თეატრის გუმბათიდან ჯერაც კვამლი ადის. დაჭრილია ერთი მოსამხურე დედაკაცი და ერთი ცეცხლის მქრობელი ჯარის-კაცი. ფრანგულ კომედიების წარმოსადგენად დაუთმეს თეატრის ოდეონის დარბაზი, ასე რომ წარმოდგენები არ შესწყდება.

**ბერლინი.** კერძო წყაროებიდან, ლონდონიდან, იტყობინებიან, რომ ინგლისის რაზმი, რომელიც შევიდა ტრანსვაალში ზულულანდიდან' უკანვე დაბრუნებულა.

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

# გამოსადეგი ცნობანი

## საკალენდრო ცნობები

**შაბათი,** 26 თებერვალი; ახალი სტილით 10 მარტი. წლის დასრულებამდე დარჩა 309 დღე. მთვარის მე-10 დღე. დიდი მარხვისა. მეექვსე დღე- ხსენება წმ. პორკირესი და მოწამისა სევოსტიანესი. დიდი მარხვის მეხუთე დღე. ხსენება წმ. ტარასიისა, კონსტანტინეპოლის მთავარ ეპისკოპოსისა.

**კვირა,** 27 თებერვალი; ახალი სტილით 11 მარტი. წლის დასრულებამდე დარჩა 308 დღე. მთვარის მე-11 დღე. მეშვიდე დღე დიდი მარხვისა. ხსენება წმ. მოწამისა პროკოპისა და ტიტესი.

შემდეგი უქმი—25 მარტს—ხარება.

## ნიხრი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 | გ. | —11 | კ. |
| სუკი . . . . | 1 | » | —15 | კ. |
| » ცხვრისა . | » | » | —11 | კ. |
| » კამეჩისა. . | » | » | — 5 | კ. |
| » ღორისა. . | » | » | — 8 | კ. |
| » ღორის ბარკალი სალორჯეთი . | 1 | » | —10 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 | გ. | 5 | კ. |
| » » | II | » | » | 3½ | » |
| » » | III | » | » | 3 | » |
| იგივე თონისა | I | » | » | 5 | » |
| » » | II | » | » | 4 | » |
| » » | III | » | » | 3½ | » |
| ლავაში ჯვ. მამ. | I | » | » | 6 | » |
| » » | II | » | » | 4 | » |

## ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდნებზე: კოკზალზე

| | ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი სა-ფუ. | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — | |
| ქერი . . . . . | 1 | — | 88 | — | 85 |
| სიმინდი . . . . . | 1 | — | 70 | — | — |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | — | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 60 | — | — |
| კარტოფილი . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი . . . . . | 1 | — | 50 | — | — |
| თივა . . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ბზე . . . . . . | 1 | — | 28 | — | — |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 80 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ 8 მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,—კამეჩი—მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., შესაბმელი— მ.

## რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. | 25 კ. | № 4—7 » | 25 » |
| № 1—8 » | 50 » | № 5—7 » | — » |
| № 2—8 » | — » | № 6—6 » | 75 » |
| № 3—7 » | 50 » | № 7—6 » | 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.
შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.
„ფშხვნილი „ 4 „ 80 „
მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

## საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა,** კორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერასატუროვი.

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და გეუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—

ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუდიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) გორონცოვის ქუჩა, მექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

---

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

**სახალხო მატარებელი № 1** ბაქოდან ტფილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ.; ტფილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ., ბათუმში მიდის 8 ს. 32 წ. საღ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ., ტფილისში მოდის საღამოს 6 ს. 28 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ., ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

**სახალხო მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., ტფილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

**საფოსტო მატარებელი № 4** ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 05 წ. საღ., თბილისში მოდის 9. 45 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ., ბაქოში მიდის დილის 6 ს. 15 წ.

მატარებელი № 5 ტფილისიდან ბორჯომში გადის დილით 3 ს. 25 წ., ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. საღ.

მატარებელი № 6 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ., თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 5 ს. 02 წ., მეორე—დღეს 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ., ფოთში მიდის—პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, მეორე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე—9 ს. 49 წ. საღ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—საღ. 9 ს. 48 წ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 6 ს. 45 წ.

**რიონიდგან ქუთაისში** გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ., საღამოს 6 ს. 30 წ. დილის 8 ს. 45 წ. და 10 საათ.

**ქუთაისიდგან რიონში** მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ. დღისით 12 ს. 30 წ., 3 ს. 50 წ., და 5 ს. 30 წ.,

**შორაპნიდან ჭიათურაში** გადის დღეში ორი სახალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის 6 ს. 50 წ., მეორე 5 ს. 15 წ. დღისით.

**ჭიათურაში** მიდის პირველი—დილის 9 ს. 42 წ. მეორე—საღამოს 8 ს. 07 წ.,

**ჭიათურიდგან შორაპანში** გადის ორი მატარებელი: პირველი 1 სე 40 წ. დღისა, მეორე—საღამოს 11 ს. 15 წ. შორაპანში მიდის—პირველი დღისით 4 ს. 31 წ. მეორე—ღამის 2 ს. 05 წ.

**მიხაილოვოიდგან სურამში** გადის დღეში ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 12 ს. 03 წ., მეორე დილის 6 ს. 25 წ., მესამე,—დღის 1 ს. 5 წ. და მეოთხე საღამოს 7 ს. 18 წ.

სურამში ყველა ეს მატარებლები 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**სურამიდგან მიხაილოვში** გადის ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 5 ს. 08 წ., მეორე დილის 11 ს. 48 წ., მესამე დღის 4 ს. 40 წ., მეოთხე—საღამოს 10 ს. 50 წ.

მიხაილოვში 12 წ. განმავლობაში მიდიან.

---

## განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,** რომ მის თანადასწრებით, შუადღის 12 საათზე 29 თებერვალს დანიშნულია ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით გაკეთება მილისა არსებულ მილიდან ვორონცოვის მეგლთან ნაბერეჟნის და სემენოვის ქუჩებზე მდინარე მტკვრამდე, სიგრძით 157 საჟენამდე, 4600 მანეთისა. მილის გაკეთება შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც, არა ნაკლებ 50 საჟენისა.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

ნ. 3—2


საუკეთესოდ მოწყობილი

**სტამბა**

წიგნების გამომც. ქართველთა ამხ—ბისა

იღებს ყოველგვარ

**სასტამბო საქმეებს**

სტამბა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლში

---

**ისტორიული ნარკვევი**

ანუ

**ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის**

შედგენილი

ალექსანდრე ჭყონიასაგან

მოწონებულია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან

საშუალო სასწავლებლების ბიბლიოთეკებისათვის

ფასი 1 მ. 50 კაპ.

ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში.

---

დაიბეჭდა და ისყიდება

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში

ახალი ქართული წიგნი

**სიტყვიერების თეორია**

სალიტერატურო ნიმუშების კრებული ანუ ქრისტომატია

წიგნი შედგენილია

ალავერდის ეპისკოპოზის კირიონისა და გრ. ყიფშიძის-მიერ

ფასი 1 მანეთი

ვინც ათს ცალზე ნაკლებს არ იყიდის, წიგნი დაეთმობა 80 კ., ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფას-დადებით შეუძლიანთ დაიბარონ ამ ადრესით: Тифлисъ. Книжный магазинъ Общества грамотности.

---

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

**გლეხი-კაცის ისტორია,**

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | | |
|---|---|---|
| ნაწილი I | საერო კრება | 60 კ. |
| | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი II | სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი III | წელიწადი პირველი რესპუბლიკისა | 1 მ. 20 „ |
| ნაწილი IV | მამულიშვილი ბონაპარტი | |
| | იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |
| ბრწყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | | 30 „ |
| იუდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | | 30 „ |

პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება

გამომც. გ. გუნია.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 Февраля, 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.